საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/173

30 ნოემბერი 2018 წ.

ქ. ბათუმი

,,2018-2019 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ " ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 20 ნოემბრის N01-08/166 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილების, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №124 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,2018-2019 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ " ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 20 ნოემბრის N01-08/166 ბრძანების:

ა) მე-2 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტებმა 2018 წლის 23 ნოემბრიდან 04 დეკემბრის ჩათვლით 10 საათიდან 16 საათამდე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისში (სამდივნოში) უნდა წარადგინონ:“

ა) მე-2 პუნქტის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. კონკურსი ჩატარდეს 2018 წლის 05 დეკემბრიდან 07 დეკემბრის ჩათვლით.

5. კონკურსში გამარჯვებული სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცეს არაუგვიანეს 2018 წლის 11 დეკემბრისა.''

2. ბრძანება მიეთვისოს ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 20 ნოემბრის N01-08/166 ბრძანებას, აღსასრულებლად დაეგზავნოს ფაკულტეტებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში კონკურსები, ფაკულტეტის სიახლეები).

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**